პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1 მარტი ორშაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 51 (14961)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრილობის დარბაზიდან

საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობას მიესალმნენ დედაქალაქის პიონერები, რომლებმაც ვ. პ. მჭავანაძეს და პრეზიდიუმის წევრებს მიართვეს ყვავილები.

ფოტო ბ. კიკვაძისა და ი. დავითაშვილისა.

(საქმესის ფოტოქრონიკა).

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობა

28 თებერვალს საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის დილის სხდომაზე გრძელდებოდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვა.

თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. **გ. ს. ძოწენიძე.**

კამათში გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **გ. ნ. ჯუსოევი,** ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი ამხ. **ს. კ. კურკოტკინი,** გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. **მ. ი. მექვეკრიშვილი,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ამხ. **ნ. ი. მუსხელიშვილი,** საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **რ. ა. ბზიშვილი.**

ყრილობამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო რეზოლუციის შესამუშავებლად აირჩია კომისია 45 კაცის შემადგენლობით.

შემდეგ გაგრძელდა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **თ. ი. მოსაშვილი,** რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადე, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. **ა. ს. ფანცულაია,** თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. **ზ. ვ. ვილაური.**

დელეგატები გულთბილად შეხვდნენ ცნობას, რომ საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობას მისასალმებელი დეპეშები გამოუგზავნეს სომხეთის კომპარტიის XXV ყრილობის პრეზიდიუმმა, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს საოკეანო თევზჭერის სამმართველოს მეზღვაურებმა, რომლებიც ატლანტის ოკეანეში იმყოფებიან.

შესვენების შემდეგ თავმჯდომარეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **მ. ა. გოგიჩაიშვილი.**

კამათში გამოვიდნენ: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **შ. ი. ჭანუყვაძე,** საქართველოს კომპარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **ვ. ა. დურგარიანი,** საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ამხ. **თ. ვ. ლაშქარაშვილი,** წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. **ა. ა. კობაიძე,** ზესტაფონის რაიონის ხედა საქარის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ნ. კ. კახელი,** საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ამხ. **გ. გ. აბაშიძე,** ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსი ამხ. **გ. ი. ქადაგიძე.**

ამით ყრილობის დილის სხდომა დამთავრდა.

საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. **შ. დ. კიკნაძე.**

გაგრძელდა კამათი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო. კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **ა. ნ. თოიძე,** საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი ამხ. **გ. ს. ვაშაკიძე,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი. ამხ. **მ. ა. გოგიჩაიშვილი,** საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **ა. ე. ჭითანავა,** ბოლნისის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ა. ბ. ალიევი,** საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **დ. ლ. გელაშვილი,** საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრი ამხ. **მ. ბ. ღვინჭილია.**

ამით დამთავრდა კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

ყრილობაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.**

ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობა საანგარიშო პერიოდში დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს.

დამტკიცდა საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება.

ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო.

ამით დამთავრდა საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის მუშაობის მეორე დღის საღამოს სხდომა.

(საქმესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციათა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და კოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალისტების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრებიდიუმის საკატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ბარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხნის მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისა და მუყაოს წარმოების ამუშავების უზრუნველყოფისათვის საქართველოს სსრ სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციათა მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და კოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალისტები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **აბრამოვიჩი** სამუელ მოსესძე — ტრესტ „საქელექტრომონტაჟის“ გამშვებ-გამწყობი სამმართველოს მთავარი ინჟინერი.
2. **ივანაზოვი** ბეიჯან ბაირამ ყზი — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 ტრანსსპეცმშენის სამშენებლო სამმართველოს მხურვალი.
3. **ბაბუნაშვილი** თენგიზ ივანესძე — გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხნის მთავარი ინჟინერი.
4. **ბარბაქაძე** ზანგური გიორგის-ძე — „საქსანტექმონტაჟის“ რუსთავის სამმართველოს ზეინკალი.
5. **ბელელაძე** სერგო აკაკის-ძე — ტრესტ „საქსანტექმონტაჟის“ რუსთავის სამმართველოს ელექტრომემონტაჟე.
6. **გრძელიშვილი** გიორგი თეოფანეს-ძე — „პრომგენტილაციის“ სამმართველოს რუსთავის უბნის უფროსი.
7. **გოგოლაშვილი** ნოდარ გრიგოლის-ძე — საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი.
8. **გოგიაშვილი** ალექსანდრე რუბენის-ძე — „იუსტალკონსტრუქციის“ რუსთავის სამმართველოს მემონტაჟეთა ბრიგადირი.
9. **დიკუნი** გრიგოლ ივანეს-ძე — ტრესტ „საქელექტრომონტაჟის“ რუსთავის სამმართველოს მემონტაჟე.
10. **დოლიძე** გალაქტიონ გიორგის-ძე — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 მეტალურგმშენის სამშენებლო სამმართველოს მეარმატურე.
11. **ვოროშილოვი** ვასილ პროკოფის-ძე — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 მემონტაჟეთა ბრიგადირი.
12. **თბელიძე** სულიკო პეტრეს-ძე — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 სპეცმშენის სამშენებლო სამმართველოს მხურვალთა ბრიგადირი.
13. **კვიზინაძე** გურგენ ალექსანდრეს-ძე — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 სპეცმშენის სამშენებლო სამმართველოს მემათქაშეთა ბრიგადირი.
14. **კოვალიოვი** ვლადიმერ პეტრეს-ძე — ტრესტ „საქმეკანმონტაჟის“ სწარმოო-მექანიკური გაყოფილების უფროსი.
15. **კოზლოვი** კლავდია პეტრეს ასული — „მონტაჟთეერმონაწარმის“ სამმართველოს მამხლოებელი.
16. **კოპაძე** შალვა მიხეილის-ძე — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 სინთეტმშენის სამშენებლო სამმართველოს დურგალი.
17. **კოხაჩი** არკადი კონონის-ძე — ტრესტ „იუჟმონტაჟავტომატიკას“ სამონტაჟო სამმართველოს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.
18. **კუდინოვი** ვიტალი კუზმის-ძე — „პრომგენტილაციის“ სამმართველოს მემონტაჟე.
19. **კუდრიაშოვი** პაველ მიხეილის-ძე — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 სპეცმშენის სამშენებლო სამმართველოს დურგალი.
20. **კუზმიჩი** ანდრია ალექსანდრეს-ძე — ტრესტ „სოიუზბუმმონტაჟის“ მთავარი ტექნოლოგი.
21. **კულიკოვი** ანატოლი სერგის-ძე — ტრესტ „საქმეკანმონტაჟის“ რუსთავის სამმართველოს ზეინკალი.
22. **ლაბუტინი** ნიკოლოზ გიორგის-ძე — ტრესტ „საქსანტექმონტაჟის“ რუსთავის სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი.
23. **ლეკვეიშვილი** რომან, ალექსანდრეს-ძე — ტრესტ „საქმეკანმონტაჟის“ რუსთავის სამმართველოს ზეინკალი.
24. **ლიზუნი** ანა ეფიმის ასული — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 მეტალურგმშენის სამშენებლო სამმართველოს მებათქაშეთა ბრიგადირი.
25. **მესხორაძე** მერაბაზ ივანეს-ძე — ტრესტ „საქმეკანმონტაჟის“ რუსთავის სამმართველოს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.
26. **მიქაძე** გიორგი იაკობის-ძე — „იუჟსტალკონსტრუქციის“ სამონტაჟო სამმართველოს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.
27. **მოსკვიჩევი** ალექსანდრე ოსიპის-ძე — ტრესტ „საქმეკანმონტაჟის“ რუსთავის სამმართველოს ზეინკალთა ბრიგადირი.
28. **მუშნიკოვი** ალექსი გასილის-ძე — ტრესტ „საქმეკანმონტაჟის“ თბილისის სამმართველოს ზეინკალთა ბრიგადირი.
29. **ნადირაძე** შოთა შალვას-ძე — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 მეტალურგმშენის სამშენებლო სამმართველოს მეარმატურეთა ბრიგადირი.
30. **ფოგანოვი** ალექსანდრე სიმონის-ძე — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 მეტალურგმშენის სამშენებლო სამმართველოს დურგალი.
31. **რიაბინოვი** ვიქტორ კონსტანტინეს-ძე — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 მეტალურგმშენის სამშენებლო სამმართველოს უბნის უფროსი.
32. **სტეგანცოვი** დმიტრი ალექსის-ძე — ტრესტ „სოიუზბუმმონტაჟის“ უბნის უფროსი.
33. **ტერეშჩენკო** ანატოლი ივანეს-ძე — ტრესტ „საქელექტრომონტაჟის“ რუსთავის სამმართველოს მემონტაჟე.
34. **ტიკურაშვილი** დავით ნიკოლოზის-ძე — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 ქიმმრეწმშენის სამშენებლო სამმართველოს მუშა.
35. **ფურცელაძე** ვლადიმერ შოთა-ძე — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 ქიმმრეწმშენის სამშენებლო სამმართველოს მუშა.
36. **შეჯენკო** ტარას დემიდეს-ძე — ტრესტ „საქმეკანმონტაჟის“ თბილისის სამმართველოს უბნის უფროსი.
37. **შუბითიძე** მანდულა ილიას-ძე — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 მეტალურგმშენის სამშენებლო სამმართველოს დურგალი.
38. **ჩიკოვანი** ალბერტ ალექსანდრეს-ძე — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 ქიმმრეწმშენის სამშენებლო სამმართველოს მთავარი ინჟინერი.
39. **ჩხეიძე** ირაკლი ნიკოლოზის-ძე — გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხნის დირექტორი.
40. **ცელაშვილი** გიორგი ალექსის-ძე — „პრომსვიაზმონტაჟის“ სამმართველოს დამრჩილავი.
41. **ხაგრონინი** ალექსი ივანეს-ძე — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 მეტალურგმშენის სამშენებლო სამმართველოს უფროსი.
42. **ჭონგოვაძე** სპარტაკ კონსტანტინეს-ძე — „ზაკმეტალურგმშენის“ ტრესტ № 1 მეტალურგმშენის სამშენებლო სამმართველოს ელექტრომონტიორი.

კოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალისტები:

1. **გურსკი** ზიგმუნდი — ოსტატი-ტექნოლოგი.
2. **ვალჩაკი** კაზიმირი — ინჟინერ-ტექნოლოგი.
3. **ვიხაროვსკი** იანი — ტექნიკოსი-მექანიკოსი.
4. **დამსი** არკადიუში — ინჟინერი-ელექტრიკოსი.
5. **დროშინსკი** იანი — რეკუპერაციის ინჟინერი.
6. **დუზინეკიჩი** ფრანციშეკი — დეფიბრატორების ტექნოლოგი.
7. **კოხიცკი** მარეკი — ინჟინერი-ელექტრიკოსი.
8. **ლებე

საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის ანგარიში

მომხსენებელი ამხ. გ. ს. ფირცხალავა

ამხანაგებო! ყრილობები ჩვენი პარტიის ისტორიაში ყოველთვის იყო უდიდესი მოვლენა, რადგან ისინი აჯამებდნენ განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შედეგებს და სახავდნენ მომავალი მოღვაწეობის ამოცანებს. მაგრამ თანამედროვე ეტაპზე — კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, როდესაც კომუნისტური პარტიის, როგორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელისა და წარმმართველი ძალის როლი სულ უფრო და უფრო იზრდება, ყრილობებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. დღევანდელი ჩვენი ყრილობის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება იმითაც, რომ იგი შეიკრიბა ჩვენი დიადი სოციალისტური ქვეყნის განვითარების ისტორიული მიჯნაზე — მეორე ხუთწლედის დასასრულსა და მეცხრე ხუთწლედის დასაწყისში.

ამხ. ვ. პ. მეტანცევმ თავის ვრცელ და ღრმადშინაარსიან მოხსენებაში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ მკაფიოდ და საფუძვლიანად დაახასიათა საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობა, მოგვცა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის იმ დიდი და ნაყოფიერი მუშაობის ყოველმხრივი, მარქსისტულ-ლენინური ანალიზი, რომელიც მან თავისი XXIII ყრილობის შემდეგ გასწია, შეაჯამა ის გრანდიოზული მიღწევები, რომლებიც მოიპოვეს საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე საანგარიშო პერიოდში. ეს მიღწევები გმირი მუშათა კლასის, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის თავდადებული შრომის, საქართველოს კომუნისტური პარტიის სწორი ხელმძღვანელობის, მისი დაუღალავი იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შედეგია.

პარტიული ორგანიზაციების საორგანიზაციო მოღვაწეობის სფერო მოიცავს სარევიზიო კომისიების საქმიანობასაც, რომლებიც სერიოზულ როლს ასრულებენ პარტიულ ცხოვრებაში, პარტიული ორგანოების საფინანსო-სამეურნეო მუშაობის სწორად მოწყობაში.

ხელმძღვანელობდა რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებით, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისია სისტემატურ კონტროლს უწევდა პარტიის საფინანსო მდგომარეობას, რეგულარულად ამოწმებდა პარტიული ბიუჯეტის შესრულებას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მშრომელთა წერილებს, განცხადებებსა და საჩივრებს განიხილავდნენ. ეს ასეთი ფაქტები მოტანა კიდევ შეიძლებოდა. კაპიტალური მშენებლობის დარგში არსებული ნაკლოვანებანი უნდა გამოსწორდეს. ამისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობას ყველა პირობა აქვს.

ბიუჯეტის მნიშვნელოვანი თანხა ხმარდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული და საბჭოთა კადრების გადასამზადებელი მუდმივმოქმედი კურსების შენახვას. ამ მიზნით გამოყოფილი სახსრების ათვისება სწორად ხდებოდა. საანგარიშო პერიოდში ერთთვიანი გადასამზადებელი კურსები გაიარა 2.444 კაცმა. ესენი იყვნენ: პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების განყოფილებათა გამგეები და ინსტრუქტორები, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, სახოფლო და სადაპო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები და სხვა. ბევრ ქვეყნის მატერიალურ და სულიერ დოვლათის გაპრავლებისათვის მშრომელთა პატრიოტულ ზრუნვას. მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია გამოთქვამენ თავიანთ შეხედულებებს პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებებზე, აყენებენ კონკრეტულ წინადადებებს მათი წარმატებით შესრულებისათვის, აკრიტიკებენ საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, ამხილებენ ბიუროკრატიზმის, ბოროტმოქმედების ფაქტებს. ბევრი წერილი კი პირადი ხასიათისაა.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ბევრჯერ განიხილა მშრომელთა წერილებზე მუშაობის საკითხები, მიიღო სათანადო დადგენილებანი, რომელთა განხორციელებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მდგომარეობის გაუმჯობესებას როგორც ცენტრალური კომიტეტის აპარატში, ისე საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებები კიდევ უფრო გაძლიერდა მშრომელთა წერილებზე მუშაობა. განყოფილებები დროულად და ყურადღებით განიხილავენ მათ. უფრო ოპერატიულად იღებენ ზომებს მათში აღძრულ საკითხებზე, რომლებიც უშუალოდ ცენტრალური კომიტეტის საქმეა. ისეთი წერილები კი, რომლებიც ცენტრალურ კომიტეტს უშუალოდ არ ეხება, ეგზავნებათ შესაბამის ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს სათანადო ზომების მისაღებად.

ცენტრალურ კომიტეტში შემოსული წერილებისა და განცხადებების საერთო ნაწილში თხოულობენ დახმარებას პირად საქმეში, ან უჩივიან ამა თუ იმ ორგანიზაციას, უწყებასა თუ ხელმძღვანელს. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ასეთი წერილების რიცხვი წლითიწლობით მცირდება. მაგალითად, 1966 წელს ცენტრალურ კომიტეტში შემოვიდა 28.500 წერილი, აქედან 5.375 შეეხებოდა საბინაო საკითხებს. 1970 წელს შემოსული 25.410 წერილიდან კი საბინაო საკითხზე იყო — 5.775 წერილი.

მართალია, მშრომელთა პირადი ხასიათის წერილების რაოდენობა წლითიწლობით მცირდება, მაგრამ მათი რიცხვი ჯერ კიდევ დიდია. იგი ბევრად შემცირდებოდა, ყველა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანოს, უწყებისა და დაწესებულების ხელმძღვანელები მათ გულისხმიერად რომ ეკიდებოდნენ. ბევრ ხელმძღვანელს აგიწყდებოდა, სამწუხაროდ, რომ თვითეული განცხადებისა და საჩივრის უკან ცოცხალი ადამიანი დგას და დაუშვებელ უყურადღებობას იჩენს მისდამი, ან უპასუხოდ ტოვებს, ან არასწორ პასუხს აძლევს ზსს. ასეთ შემთხვევაში სხვა რა დარჩენია საბჭოთა მოქალაქეს, თუ არა ის, რომ მიმართოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ან კიდევ უფრო ზემოთ — საკავშირო ორგანოებს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საქმეში ცენტრალური კომიტეტის ჩარევის შემდეგ საკითხი წყდებოდა, მოქალაქის განცხადება კმაყოფილდებოდა. აი ერთ-ერთი ამის დამადასტურებელი ფაქტი.

ბორჯომის რაიონის დაბა ბაკურიანში ცხოვრობს დიმიტრი ალექსანდრეს-ძე ბუძიშვილი, პარტიის წევრი 1941 წლიდან. უკანასკნელად იგი მუშაობდა ბაკურიანის კომუნალურ საწარმოთა მთავარ ბუღალტრად. ამ თანამდებობიდან ამს. ბუძიშვილი გაათავისუფლეს გასული წლის იანვარში, იგი ჩიოდა უმიზეზოდ გამთავისუფლესო. ბორჯომში რომ ვერ მიაღწია სამსახურში აღდგენის საკითხის დადებითად გადაწყვეტას, მან მიმართა გაზეთ „პრავდის“ რედაქციას, რომელმაც წერილი ბორჯომის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომს გადმოუგზავნა. ამის შემდეგაც საქმეს არაფერი არ ეშველა. ბოლოს იგი იძულებული გახდა წერილით მიემართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძისათვის. საქმეში ცენტრალური კომიტეტის ჩარევის შემდეგ ამს. ბუძიშვილი აღადგინეს სამუშაოზე. მაგრამ ამასობაში გავიდა ერთი წელიწადი. ამ ხნის მანძილზე კაცი უმუშევარი იყო, ბევრი განიცადა, დიდი ენერგია დახარჯა, ხელმძღვანელი ორგანოები შეაწუხა. მე ამ ფაქტზე არ შევაჩერებდი თქვენს ყურადღებას, რომ იგი ირეგულარული მოვლენა იყოს რესპუბლიკაში. ამ ფაქტზე ... [illegible] ... ეს ... [illegible] ... ორგანიზაციის ლენინის რაიკომმა გასულის წლის ოქტომბერში კვლავ მისცა ბილეთი. ამხანაგ დუტო

საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის საერთაშორისო ურთიერთობათა კომისიის მოხსენებიდან

ამხ. ვ. ბ. ბაბაიანის სიტყვა

ამხანაგებო! ამ დღეებში ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის, ისევე როგორც მთელი საქართველოს მშრომელები, სასიხარულო, ამაღელვებელი გრძნობებით ჰარიან გამსჭვალულნი. საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობამ, საქართველოს სსრ და აფხაზეთის სსრ მომავალმა იუბილეებმა, საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავმა და დირსშესანიშნავმა მოვლენამ პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში — XXIV ყრილობამ გამოიწვიეს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა უაღრესად დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა.

ამაყოფილებით შეიძლება აღინიშნოს, რომ არ არის მეშაობის ისეთი უბანი, სადაც XXIII ყრილობის შემდეგ მიღწეული არ იყოს დიდი ძვრები, წარმატებანი. შრომითი ვახტი, რომელიც ლენინის იუბილესათვის დაიწყო, კიდევ უფრო განვითარდა XXIV ყრილობისათვის მზადების პერიოდში. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა მერვე ხუთწლედის დავალებათა მთლიანად და დადგენილებები შესრულებისათვის. აფხაზეთის მშრომელებმა წარმატებით გაართვეს თავი მათ წინაშე დასახულ ამოცანებს. რესპუბლიკაში არასოდეს არ ყოფილა სახალხო მეურნეობის განვითარების ისოდენ სწრაფი ტემპი. ეს არის პარტიული ორგანიზაციების დამშრომელი და წარმმართველი როლის შედეგი, რომლებიც მთავარ ყურადღებას უთმობდნენ პარტიის XXIII ყრილობისა და XXIV ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებას.

აფხაზეთის სამრეწველო საწარმოთა მშრომელებმა გადაზე თითქმის სამი თვით ადრე შეასრულეს ხუთწლიანი დავალება. ამ პერიოდის მანძილზე სამრეწველო წარმოების მოცულობა 51,6 პროცენტით გაიზარდა. შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში ხუთწლიულის მანძილზე გადიდდა 40 პროცენტით. პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად დაზოგა 7,5 მილიონი მანეთი.

ფართოდ ხორციელდებოდა საწარმოთა გადაყვანა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე. ეკონომიური რეფორმა ჩვენ-ში განხორციელდა 82 საწარმოში. ეს არის მათი საერთო რიცხვის 67 პროცენტი და ისინი იძლევიან სამრეწველო საწარმოთა მიერ მთელი გამოშვებული პროდუქციის 90 პროცენტს. მრეწველობის ტექნიკური ხელახალი შეიარაღებისათვის ზრუნვა ხელს უწყობდა იმას, რომ პროდუქციის 80 პროცენტი განვლილი ხუთი წლის მანძილზე მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. ხუთი წლის დავალების გადამეტებით ავტონომიურ რესპუბლიკაში წარმოებულია 62 მილიონ 600 ათასი მანეთის სხვადასხვა პროდუქცია.

შარშან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა შესრულდა 109,7 პროცენტით. მშენებლობის ესოდენ მაღალი დონე პირველადაა მიღწეული მრავალი წლის მანძილზე. კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს აგრეთვე ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, გზის მეშაკეებმა. ოზრდება მაჩვენებლები, რომლებიც განსაზღვრავენ ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ეანვითარების დონეს.

შემდგომი ინტენსიფიკაციის, ტექნიკისა და მეცნიერების მიღწევათა ფართოდ გამოყენების ნიშნით ვითარდებოდა სუბტროპიკული სოფლის მეურნეობა. ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიეყიდა 20 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ამ ბოლო წლების მანძილზე აფხაზეთი წარმატებით ასრულებს სახელმწიფოსათვის ციტრუსების მოყიდვის ვალდებულებას. სამწუხაროდ, ამასწინანდელმა ყინვებმა სერიოზული ზიანი მიაყენეს მეციტრუსეობას. საჭირო იქნება დიდი მეცადინეობა, რომ ავანაზღაუროთ დანაკარგები.

კარგი შედეგებია მოპოვებული აბრეშუმის ჭიის პარკის, ეთერზეთოვანი კულტურების, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის წარმოებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეგზად შინაარსიან საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც ამწ. ვ. ბ. მეავანაძემ გააკეთა, დამაჯერებლად არის ნაჩვენები, თუ რამდენად კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს პარტიული მუშაობის სხვადასხვა ფორმისა და მეთოდის უნარიანი გამოყენება სამეურნეო საქმეებზე, როგორ შეიძლება პარტიული ზემოქმედების საშუალებებით, ისე, რომ არ შეგვაფერხოთ სამეურნეო ორგანოების საქმიანობა, ეუხელმძღვანელოთ ეკონომიკის განვითარებას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი პრაქტიკულად გვიჩვენებს იმის მაგალითებს, თუ როგორ უნდა წარვმართოთ ხელმძღვანელობა.

ამ ხანაგებო! ამ ბრძოლაში ჩვენ ავტონომიური რესპუბლიკის, ისევე როგორც მთელი საქართველოს მშრომელები, სასიხარულო, ამაღელვებელი გრძნობებით ჰარიან გამსჭვალულნი. საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობამ, საქართველოს სსრ და აფხაზეთის სსრ მომავალმა იუბილეებმა, საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავმა და დირსშესანიშნავმა მოვლენამ პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში — XXIV ყრილობამ გამოიწვიეს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა უაღრესად დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა.

ამაყოფილებით შეიძლება აღინიშნოს, რომ არ არის მეშაობის ისეთი უბანი, სადაც XXIII ყრილობის შემდეგ მიღწეული არ იყოს დიდი ძვრები, წარმატებანი. შრომითი ვახტი, რომელიც ლენინის იუბილესათვის დაიწყო, კიდევ უფრო განვითარდა XXIV ყრილობისათვის მზადების პერიოდში. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა მერვე ხუთწლედის დავალებათა მთლიანად და დადგენილებები შესრულებისათვის. აფხაზეთის მშრომელებმა წარმატებით გაართვეს თავი მათ წინაშე დასახულ ამოცანებს. რესპუბლიკაში არასოდეს არ ყოფილა სახალხო მეურნეობის განვითარების ისოდენ სწრაფი ტემპი. ეს არის პარტიული ორგანიზაციების დამშრომელი და წარმმართველი როლის შედეგი, რომლებიც მთავარ ყურადღებას უთმობდნენ პარტიის XXIII ყრილობისა და XXIV ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებას.

აფხაზეთის სამრეწველო საწარმოთა მშრომელებმა გადაზე თითქმის სამი თვით ადრე შეასრულეს ხუთწლიანი დავალება. ამ პერიოდის მანძილზე სამრეწველო წარმოების მოცულობა 51,6 პროცენტით გაიზარდა. შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში ხუთწლიულის მანძილზე გადიდდა 40 პროცენტით. პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად დაზოგა 7,5 მილიონი მანეთი.

ფართოდ ხორციელდებოდა საწარმოთა გადაყვანა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე. ეკონომიური რეფორმა ჩვენ-ში განხორციელდა 82 საწარმოში. ეს არის მათი საერთო რიცხვის 67 პროცენტი და ისინი იძლევიან სამრეწველო საწარმოთა მიერ მთელი გამოშვებული პროდუქციის 90 პროცენტს. მრეწველობის ტექნიკური ხელახალი შეიარაღებისათვის ზრუნვა ხელს უწყობდა იმას, რომ პროდუქციის 80 პროცენტი განვლილი ხუთი წლის მანძილზე მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. ხუთი წლის დავალების გადამეტებით ავტონომიურ რესპუბლიკაში წარმოებულია 62 მილიონ 600 ათასი მანეთის სხვადასხვა პროდუქცია.

შარშან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა შესრულდა 109,7 პროცენტით. მშენებლობის ესოდენ მაღალი დონე პირველადაა მიღწეული მრავალი წლის მანძილზე. კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს აგრეთვე ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, გზის მეშაკეებმა. ოზრდება მაჩვენებლები, რომლებიც განსაზღვრავენ ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ეანვითარების დონეს.

შემდგომი ინტენსიფიკაციის, ტექნიკისა და მეცნიერების მიღწევათა ფართოდ გამოყენების ნიშნით ვითარდებოდა სუბტროპიკული სოფლის მეურნეობა. ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიეყიდა 20 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ამ ბოლო წლების მანძილზე აფხაზეთი წარმატებით ასრულებს სახელმწიფოსათვის ციტრუსების მოყიდვის ვალდებულებას. სამწუხაროდ, ამასწინანდელმა ყინვებმა სერიოზული ზიანი მიაყენეს მეციტრუსეობას. საჭირო იქნება დიდი მეცადინეობა, რომ ავანაზღაუროთ დანაკარგები.

კარგი შედეგებია მოპოვებული აბრეშუმის ჭიის პარკის, ეთერზეთოვანი კულტურების, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის წარმოებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეგზად შინაარსიან საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც ამწ. ვ. ბ. მეავანაძემ გააკეთა, დამაჯერებლად არის ნაჩვენები, თუ რამდენად კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს პარტიული მუშაობის სხვადასხვა ფორმისა და მეთოდის უნარიანი გამოყენება სამეურნეო საქმეებზე, როგორ შეიძლება პარტიული ზემოქმედების საშუალებებით, ისე, რომ არ შეგვაფერხოთ სამეურნეო ორგანოების საქმიანობა, ეუხელმძღვანელოთ ეკონომიკის განვითარებას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი პრაქტიკულად გვიჩვენებს იმის მაგალითებს, თუ როგორ უნდა წარვმართოთ ჩვენი მუშაობა.

ქამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გაერთიანებული სხდომა

ამხ. ვ. ო. კობახიას სიტყვა

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

ამხანაგებო! ამ ხანგრძლივ, ამაღელვებელ, ისტორიულ ყრილობაზე ჩვენ ავტორიტეტულ, ერთსულოვან, ერთგულ ბოლშევიკურ ანგარიშს ვუსმენთ ჩვენ, ავტონომიური რესპუბლიკის, ეროვნული ანგარიშებიანი ავტონომიური ოლქის, საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის დელეგატებს, ეროვნული ანგარიშებიანი ავტონომიური ოლქის, ეროვნული ანგარიშებიანი ავტონომიური ოლქის, ეროვნული ანგარიშებიანი ავტონომიური ოლქის

კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა შესახებ

(დასასრული)

მაგრამ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. მთელი რიგი საწარმოები ვერ ასრულებენ პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმებს, ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. არის ნაკლოვანებანი დაგეგმვასა და ნედლეულით მომარაგებაში. გაუმჯობესებას საჭიროებს კადრების მომზადების საქმე.

დიდი მუშაობა უნდა შესრულდეს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის.

საანგარიშო პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა მშრომელთა ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. მაგრამ კიდევ მეტი უნდა გაკეთდეს. უწინარეს ყოვლისა მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს საბინაო მშენებლობის ტემპი. ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი ქალაქ ბათუმისა და საკურორტო ზონის გაზიფიკაციის, ცენტრალური გათბობისა და წყალმომარაგების, მაღალი მთის სოფლების მოსახლეობის სატელევიზიო მომსახურების საკითხები. საჭიროა საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია, მით უმეტეს, რომ სწრაფი ტემპით ვითარდება საკურორტო მშენებლობა და უახლოეს მომავალში ბათუმში გაივლის საერთაშორისო ავტოტურისტული მარშრუტი.

აჭარის პარტიული ორგანიზაციები თავიანთ საქმიანობაში მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდნენ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის საკითხებს, საზოგადოებრივი დოვლათის დამტკიცებლებთან ბრძოლის გაძლიერებას. მაგრამ ყველა პარტიული ორგანიზაცია ჯეროვნად როდი ზრუნავს დისციპლინის განმტკიცებისათვის, როდი იჩენს შეურიგებლობას დარღვევებისადმი. ზოგიერთ ორგანიზაციაში სუსტადაა გამლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა.

აჭარის პარტიული ორგანიზაცია დაუსხრომლად ზრუნავს მშრომელთა პოლიტიკური სიფხიზლის გაძლიერებისათვის, საბჭოთა არმიის მეომრებთან და მესაზღვრეებთან მათი მეგობრობის განმტკიცებისათვის. ამ მეგობრობის თვალსაჩინო გამოვლინება იყო ის დიდი დახმარება, რომელიც მესაზღვრე მეომრებმა გაუწიეს ამას წინათ მშრომელებს სტიქიასთან ბრძოლაში. როგორც ცნობილია, ძლიერი თოვლისა და ქარბუქის შედეგად აჭარის მშრომელებმა მნიშვნელოვანი ზარალი განიცადეს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის მთავრობამ, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრებმა და მესაზღვრეებმა დიდი დახმარება გაგვიწიეს სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციაში. აჭარის მშრომელები ამისათვის დიდად მადლიერნი არიან.

ამხანაგო დელეგატებო! ამ დღეებში აჭარის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ხვლიან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტს. ისინი მხურვალედ იწონებენ ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების პროგრამის წარმატებით შესრულებაში, ფართოდ აჩაღებენ შეჯიბრებას სკკპ XXIV ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით რეალიზაციისათვის. (ტაში).

ამხ. ლ. ფ. ჩხაიძის სიტყვა

ლანჩხუთის რაიონის სოფელ ზემო აკეთის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური ზრომის გმირი

ამხანაგებო! დიდი ბედნიერებაა იყო საქართველოს კომუნისტთა ყრილობის დელეგატი. დიდი ყურადღებით მოვისმინე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომელიც ამხ. ვ. პ. მეჟავანაძემ გააკეთა. საანგარიშო მოხსენებაში მოყვანილია საგულისხმო ფაქტები და ციფრები. ყველაზე მეტად იმან მამახარა, რომ მოხსენებაში დასახელებული იყვნენ ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები, რომლებმაც პირნათლად შეასრულეს ხუთწლეული დავალება.

მე, როგორც მეჩაიეს, მახარებს ჩემი კოლეგების წარმატებანი. როგორც აღნიშნულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტში, ქართველმა მეჩაიეებმა მეცხრე ხუთწლედის დამლევისათვის ჩაის წარმოება უნდა გადიდონ 272 ათას ტონამდე. ჩვენ შეგვიძლია გადავწყვიტოთ ეს საპატიო და დიდი ამოცანა. პირადი გამოცდილებით ვიცი, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არის ბევრი გამოუყენებელი რეზერვი. გასულ ხუთწლედში გეგმით უნდა მომეკრიფა 17.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ფაქტიურად მოვკრიფე 38.636 კილოგრამი.

ეი უკვე ათი წელია მეჩაიედ ვმუშაობ. ამ ხნის მანძილზე მოვკრიფე 63.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ჩაის ფოთლისაგან ფაბრიკებმა გამოუშვეს 17 ტონამდე მზა პროდუქცია. ამდენი ჩაი ათიათასობით ადამიანს ეყოფა ერთ დღეს. ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ მეჩვენებინა, რის გაკეთება შეუძლია შეუძლია ადამიანს. ადამიანს კი ძალიან ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. მე ვფიქრობ, რომ ქართველი მეჩაიეები გამოიყენებენ ყველა რეზერვს, ფართოდ გამოიყენებენ მეცნიერების მიღწევებს, შრომის პროგრესულ მეთოდებს და ახალ, უფრო დიდ წარმატებებს მოიპოვებენ.

პირადად მე გადავწყვიტე მიმდინარე წელს ვიმუშაო ახალი ხუთწლედის მეორე წლის ანგარიშში. გეგმით გათვალისწინებული 3.500 კილოგრამის ნაცვლად მოვკრიფე 7.500 კილოგრამ ჩაის ფოთოლს. დიდი ვალდებულებანი იკისრეს ბრიგადის წევრებმაც, რომელშიც მე ვმუშაობ. მთლიანად ჩვენი ბრიგადა 18 ჰექტარ პლანტაციაში მოკრეფს 105 ტონაზე მეტ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს გეგმით გათვალისწინებული 98 ტონის ნაცვლად.

შემიძლია სიამაყით ვილაპარაკო ჩემს მშობლიურ სამშობლოზე. ჩვენი კოლმეურნეობა ერთ-ერთი ძლიერი მეურნეობაა რესპუბლიკაში. მან ვალდებულება აიღო შეასრულოს ხუთწლიანი გეგმა ყველა ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით.

დიდია მთელი ლანჩხუთის რაიონის მშრომელების წარმატებანი საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში. გაიზარდა და განმტკიცდა რაიონის ეკონომიკა, ამაღლდა მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო დონე. მერვე ხუთწლედში რაიონის მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 59.400 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც 5.000 ტონით მეტია გეგმაზე. დიდი გადაჭარბებით შესრულდა მეცხოველეობის პროდუქტების, ბრეშუმის პარკის, დაფნის ფოთლის, ციტრუსების, ტუნგისა და სხვა პროდუქტების დამზადების გეგმებიც.

კიდევ უფრო დიდი ამოცანებია დასახული რაიონის მშრომელთა წინაშე ახალ ხუთწლედში. მარტო მიმდინარე წელს რაიონის მეურნეობებმა სახელმწიფოს უნდა მიჰყიდონ 12 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, 14.200 ცენტნერი მარცვლეული, 6.300 ცენტნერი ხორცი, 15.500 ცენტნერი რძე.

ახლა, როცა თითოეული დღე ვგვახლოებს დირსშესანიშნავ მოვლენას — სკკპ XXIV ყრილობას, ჩვენი კოლმეურნეობა მტკიცე საფეძველს უყრის უზვ მოსავალს. წარმატებით განვახორციელეთ ზამთარში ბუჩქების მოვლის სამუშაოები, შევიტანეთ ნიადაგში მინერალური სასუქები. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ მცენარეები სწრაფად გაიზარდონ, მოგვცენ უზვი მოსავალი.

ზემო აკეთი რაიონში ერთ-ერთი კეთილმოწყობილი სოფელი გახდა. ჩვენ გვაქვს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. გასულ ხუთწლედში მწყობრში ჩადგა კულტურის სახლი, უნივერსალური მაღაზია. გაუმჯობესდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა.

დასასრულ, ნება მიბოძოთ სოფლის კომუნისტების, რაიონის ყველა მშრომელის სახელით აღვუთქვა ყრილობას, რომ ძალ-ღონისა და ენერგიას არ დავიშურებთ, რათა განვახორციელოთ პარტიის მიერ ახალ ხუთწლედში დასახული ამოცანები. (ტაში).

ამხ. ო. ს. ბოჭოიძის სიტყვა

საქართველოს კომპარტიის ჟუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი

ამხანაგებო! საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც ყრილობას ამხანაგმა ვ. პ. მეჟავანაძემ წარუდგინა, ღრმად არის გაანალიზებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მოწინავე და საბრძოლო რაზმის — საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მიერ გაწეული მრავალმხრივი მუშაობა.

საანგარიშო პერიოდი იყო სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის, ჩვენი სამშობლოს ნახევარსუკუნოვანი იუბილეს დღესასწაულის პერიოდი.

რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა შრომელი შესანიშნავი წარმატებებით შეეგებნენ საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობას. ამ წარმატებათა მოპოვებაში ღირსეული წვლილი შეიტანეს რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრის — ჟუთაისის მშრომელებმაც, რომელთა ავანგარდში კომუნისტები არიან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობითა და ყოველდღიური დახმარებით ჟუთაისის პარტიულმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. საანგარიშო პერიოდს ახასიათებს ქალაქის ბრძოლა ბიუროს ხელმძღვანელობის მკვეთრი ამაღლება, მასზეზე მათი გაფილნის გაძლიერება, კომუნისტთა აქტივობისა და შემოქმედების ამაღლება, ამ ბოლო წლების განმავლობაში ნაყოფიერი მუშაობა პარტიულ ორგანიზაციათა სტრუქტურის გაუმჯობესებისათვის. პარტიული აქტივის პასუხისმგებლობის გაძლიერებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს სხდომებზე არჩევითი პარტიული ორგანოების ანგარიშისა და საქალაქო კომიტეტის წევრთა პლენუმებზე თვითანგარიშების განხილვის პრაქტიკულად დანერგვამ. კიდევ უფრო განვითარდა შინაპარტიული დემოკრატია, უფრო შინაარსიანი გახდა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა.

პარტიის საქალაქო კომიტეტის საქმიანობაში ცხოვრებით ნაკარნახევი ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვამ, სხდომებისა და თათბირების რიცხვის შემცირების გზით ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობის გაშლამ, მოწინავე გამოცდილების განზოგადებამ დადებითი გავლენა მოახდინეს საქალაქო კომიტეტის, მისი ბიუროს, როგორც ხელმძღვანელობის კოლეგიტური ორგანოს როლის ამაღლებაზე. საანგარიშო პერიოდში ქალაქის პარტიული ორგანიზაცია გაიზარდა როგორც რიცხობრივად, ისე თვისებრივადაც. მის რიგებს შეემატა ორი ათასზე მეტი მოწინავე. ახლა ქალაქ ჟუთაისის პარტიული ორგანიზაცია აერთიანებს 12 ათასამდე კომუნისტს. ჯეროვანი ყურადღება ეთმობა ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობას, პარტიული კადრების მომზადებას. პოლიტიკური განათლების სხვადასხვა ფორმით მოცულია 12.460 კაცი.

დღენიადაგ ზრუნვა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მიღწეული პარტიულობისა და ეფექტურობის ამაღლება გახდა სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან წარმატებათა მიღწევის მტკიცე საფუძველი.

სასიხარულოა, რომ ქალაქის მრეწველობამ 1970 წლის 5 ნოემბრისათვის შეასრულა მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების საერთო მოცულობისა და გამოშვების ხუთწლედის დავალება. გამოშვებულია 67 მილიონი მანეთის ზედგეგმით პროდუქცია. ამ პერიოდში წარმოების მოცულობა 1,9-ჯერ გაიზარდა, მნიშვნელოვნად გადიდდა შრომის ნაყოფიერება. თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს ქალაქის სამშენებლო ორგანიზაციებმა, რომლებმაც კაპიტალური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა შეასრულეს გასული წლის 25 ოქტომბრისათვის.

განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლებია მიღწეული ლენინის საიუბილეო წელს. პროდუქციის რეალიზაციის გეგმა შესრულდა 104,8 პროცენტით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი.

დიდად არის შეფასებული ჟუთაისის მშრომელთა წარმატებანი. 7 ათასამდე მუშა და მოსამსახურე დაჯილდოვდა ლენინის საიუბილეო მედლით. მაღალ მაჩვენებლებთა მიღწევისათვის მთელი რიგი საწარმოების კოლექტივები დაჯილდოვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს ლენინური საიუბილეო სპპატიო სიგელებით.

ქალაქის მოწინავე საწარმოა ჟუთაისის ლაითფონის ქარხანა, რომელმაც გასულ წელს თოხჯერ მოიპოვა სსრ კავშირის ქმიფერი მრეწველობის სამინისტროსა და შესაბამისი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. მერვე ხუთწლედის უკანასკნელ წელს შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვა აგრეთვე ჟუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა, საწარმოს პარტიული ორგანიზაცია, რომელიც თავის ოთხგზის ორ ათასამდე კომუნისტს აერთიანებს, უნარიანად რაზმავს მშრომელებს სკკპ XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის აღსანიშნავად სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრ გადიდებულ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის. ეფექტ ნაყოფიერად იმრომეს ავტომობილშენებლებმა მიმდინარე წლის იანვარშიც და 1970 წლის მეოთხე კვარტალში